საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/289
29/01/2024

239-01-2-202401291031

შპს „დი ლსის“ (ს/ნ 442264292)
დირექტორს ნათია სიჭინავას

მის: ჩხოროწყუ, სოფ. ღ ესიჭინე 56-ე ქუჩა N7
მის: ქ. თბილისი, N
ელ.ფოსტა: na tiasichi000@gmail.com

ქალბატონო ნათია,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ერ ოვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 11 დეკემბრის №04/938 ბრძანებით, „მოქალაქე განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყებ ს თაობაზე“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგე ტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „დილსის“ (ს/ნ 442264292) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაო აზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტ ს უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებ ით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქ ის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვი ს დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2023 წლის 11 დეკემბრის №04/938 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში **ჩართო მოქალაქე** (პ/) 2024 წლის 25 იანვრის №01/460 განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურ ს მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხ ლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე **5 (ხუთი) სამუშაო** დღის ვადაში მ გვაწოდოთ თქვენი პოზიცია **მოქალაქე** (პ/) 2024 წლის 25 იანვრის №01/460 განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
+995 598 05 44 22
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „ბ[1]“ ქვეპუნქტებისა და კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მოვაჭრის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და პროცედურის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

დანართი: „15“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/938
11.12.2023

ბრძანება

938-01-4-202312111741

მოქალაქე [redacted] განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე [redacted] (პ/ნ [redacted]) 2023 წლის 7 დეკემბრის №01/4180 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა შპს „დ[redacted]ლსის“ (ს/ნ 442264292) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 11 დეკემბრის №03/1064 მოხსენებითი ბარათი.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი